თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 6

ქ.თელავი 19. 04. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, არჩილ თვალიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.
აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე, სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყურშიტაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვახტანგ გაგნიძე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი ასისტენტ პროფესორი დ. ჯავახიშვილი, ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტების გერბისა და დროშის ავტორი ზურაბ ბუცხრიკიძე.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> საკრებულოს თავმჯდომარემ კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანთან ერთად წარმოადგინა თვითმმართველი თემი მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოები, მათ გააკეთეს განმარტება იმის შესახებ რომ საქართველოს ჰერალდიკის საბჭოსთან კონსულტაციის

გათვალისწინებით, ამ ორი სიმბოლოდან უნდა იქნას არჩეული ერთ-ერთი სიმბოლო ან გარკვეული კორექტივები უნდა იქნას შეტანილი, ისევ ჰერალდიკის საბჭოსთან შეთანხმებით.

<u>გადაწყვიტეს</u>: მოწვეულ იქნას კიდევ ერთი კომისიის სხდომა, სადაც მოხდება მუნიციპალიტეტის სიმბოლოების უკვე რამდენიმე დამუშავებული ვარიანტის განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი